№ 44 5 მაისს, ოთხშაბათი 1866–1876 5 მაისს, ოთხშაბათი

**რედაქცია**

შელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადებ[ა]** ამ სა-
მიიღება ქართულს, რუსულს, [...]ტს ვექ-
ცუზულს ენებზე. [...]ულირებ[...]

**განცხადების ფ[ასი]**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ. [...]ცა ში-
სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სადაც
და პეტიტით—4 კაპ. აწე-

თუ საჭიროება მოითხოვს, რედა- რო-
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიოთ
დაუბეჭდელი სტატია ავტორს ან ის
ილ-

### რედაქციისაგან

მირზოევის შენობებში ცეცხლმა ჩვენს „დროებაზედაც“ იქონია გავლენა. ის ქაღალდის მაღაზია, საიდამაც „დროება“ ქაღალდს ხარჯავდა, დაიწვა თავის საქონლით ისე, რომ კვირის ნომერი (2 მაისისა) სამშაბათ (4 მაისს) გამოვიდა.

## საქართველო

თფილისი, მაისის 5-ს

**წ**ინანდელ ნომერში ლაპარაკი თფილისის ცეცხლის მაქრობელ კამანდის შესახებ იმით გავათავეთ, რომ სანამდისინ იმის ეხლანდელი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სანამდისინ მას მეტი საშუალება არ მიეცემა, მანამდისინ იმისაგან დიდი სარგებლობა არა გამოვარა.—ამის შემდეგ განვაგრძოთ ლაპარაკი იმაზედ თუ რა გვარათ შედგენილი ცეცხლის მაქრობელი კამანდა, ანუ საზოგადოება, როგორც გინდათ ისე დაუძახეთ, მაქვს მე სახეში, რომელმანც უთუოთ უნდა აჯობოს ამ გვარათ შედგენილს და იმ საფუძველზე დამყარებულს კამანდას, როგორც დღეს ქალაქს ჰყავს. რასაკვირველია, რომ ჩვენ იმისთანას არაფელს მოვიყვანთ და ვურჩევთ ქალაქს, რომ სხვაგან არ იყოს ან ჩვენ თავათ არ გვენახოს ჩვენის თვალით დასავლეთი ევროპის ზოგს პატარა სახელმწიფოების ქალაქებში.

აი, იქ იმ პატარა სახელმწიფოების ქალაქებში, როგორ არის შემდგარი ცეცხლის მაქრობელი საზოგადოებები.

ქალაქი იქაც როგორც ჩვენში ნაწილებათ არის დაყოფილი. ყოველ ამ ნაწილს ჰყავს თავის საკუთარი ცეცხლის მაქრებელი საზოგადოება, რომელიც ნაქირავები კაცებით კი არ არის შედგენილი, არამედ თავად იმ ნაწილის მცხოვრებლებიდამ.—ყოველი სახლობა დრო-გამოშვებით ან მუდამ უეჭველად ვალდებული არის ქალაქის მმართველობის წინ, რომ ერთი ვინმე თავიანთთაგანი იყოლიოს წევრათ თავის ნაწილის ცეცხლის მაქრობელ საზოგადოებაში. თუ ეს არ შეუძლია, მაშინ ის სხვაფრივ ეხმარება იმ საზოგადოებას. ამ გვარათ შედგენილი საზოგადოება ერთ რომელიმე ნაწილისა, ისევ თავის ნაწილში ცდილობს საშუალების მოპოებას, რომ ცეცხლს ყოველ-

გვარი სახმარი იარაღი ჰ[...]
რაში მგომარეობს ეს იარ[...] ეს
და

ყოველ საზოგადოებას
ყაპელი მაშინები თავიანთ[...] უ-
ხან ორი, ხან სამი და ხან [...]ო-
ტი; გრძელი სამსაჭენიანი [...]ის.
ძიელ მაღალი კიბეები, რომე[...]ო-
სამეს და მეოთხე ეტაჟაში [...]ქ-
ბაწრები, ცულები, და სხვა [...]
მანი რამ საჭიროება.— რას[...]ნ
ლია ყველაფერ ესენი უქმი [...]
და, რომ იმათთან წყალი არ[...]
დესთ, მაგრამ ამისანა ქალაქ[...]
ყოველ მისს კუნჭულში, გაყვა[...]
წყალი.—ასე, ამნაირათ ქალაქი[...]
ნარჩენ ნაწილებშიაც არიან გ[...]
ბილნი საზოგადოებები, და ყვე[...]
ერთად ამ ქალაქის ცეცხლის[...]
რობელ ერთს საზოგადოებას შ[...]

## ფელტონი

**ნამდვილი დოკუმენტები შესახებ დიპლომატიურ განწყობილებისა საქართველოის და საფრანგეთს შუა, ლუდოვიკო მე-XIV-ის მეფობის ბოლოს.**

(ზამოლებ. პარიჟის „აზიურ ჟურნალიდგან“)

(გაგრძელება)

IV „სულხან საბა ორბელიანის დავთარი, წარდგენილი უფ. ბრიგ. პონშარტრენთან საფრანგეთის დიდის ხელმწიფის მინისტრთან, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისთვის (?) გადასაცემად.“ *)

„თუ ვახტანგ, ქართველთა მეფე, ისპაანში დარჩა, საქართველო **) ამ საშიშს მდგომარეობას ვერ გაუძლებს და ერთიანად გამაჰმადიანდება.

თუმც იგი დაჰბრუნდა თვისს სამეფოში, მაშინ ქართველები არათუ დაიცვენ ქრისტეს სარწმუნოებას, არამედ შეუერთდებიან კიდევაც კათოლიკობას, მათის მეფის მაგალითისამებრ. ამ მეფეს უნდა კათოლიკობა მიიღოს ***). თვისს უბედურობას იგი იმას აწერს, რომ ამოდენი ხანი დაიგვიანა ამ საქმეში. მას გადაწყვეტილი აქვს რომ, როგორც კი ჩავა თვისს სამეფოში, მაშინვე შეუერთდება კათოლიკობას. მისი განზრახვა კიდევ უფრო ვრცელია; მას ჰსურს მოუპოვოს მისიონერებს ნამდვილნი საშუალებანი ჩერქეზეთის გასაქრისტიანებლად. ეს მხარე საქართველოს მეზობელია და მისის მთავრის ქალი ვახტანგმა ცოლათ შეირთო.

„მან იცის რომ საფრანგეთის უდიდესს ხელმწიფეს არ აქვს სხვა განზრახვა, როცა იგი იფარავს სჯულისთვის დევნილთ მთავრებს, გარდა იმისა, რომ განავრცოს სარწმუნოება, რომელსაც თვით იგი აღიარებს. ამიტომ ვახტანგ ჰზედავს—შეგჰპირდესთ თქვენ გაკათოლიკებას—შემიძლიან ვსთქვა საყოველთაოთ,—თითქმის ოცდა ოთხ კარგად დასახლებულთა თემთა და რამოდენისამე მეზობელ საბატონოთა, რომელნიც ჩაფლულნი არიან კერპთ-თაყვანისცემაში.

„მხოლოდ ამ ხალხების კეთილდღეობისათვის შევუდექი მე ამ გრძელ მგზავრობას და ახლა მოვსულვარ ეკლესიის უფროსის შვილის ფეხების წინ განვიფინო; ვიმედოვნობ, რომ ეს წერილი მიჰსცემს სპარსელ თავადებს შემთხვევას რომ მათ შეაგონონსთ საფის *), რომ ამისთვის საჭირო იქმნება ვახტანგისთვის საქართველოში, რაც შეიძლება, ნიჭიერის კაცის გაგზავნა, რომ მისი ბრძანება შეასრულოს.

ამისთვის სპარსეთის თავადებს უნდა რამესი დაპირება. ეს საშუალება კარგად დაჰფარავს იმ შემწეობას, რომელიც მინდობილი ექმნება მისის იმპერატორებითის (?) უდიდებულესობისაგან გამორჩეულ პირსა. სპარსეთში ეს ჩვეულებაა დამყარებული, რომ რომლისამე საქმის მოსაგვარებლად კაცმა წერილით უნდა ჰქმნას შეპირება და მიცემით კი არას მიჰსცემს საქმის სრულებით გაკეთებამდის. მაშასადამე ვახტანგისთვის სამეფოში სიმრთელით და მშვიდობით ჩასვლამდი სპარსეთის დიდკაცები არას აიღებენ რას.

„ეხლა დაგვრჩა სალაპარაკოდ ამ შემწეობის თვისება: 300,000 ეკიუ საჭიროა; ეს კმარა. მაგრამ რით დაუმსახურია ქართველების მეფეს ამგვარი წყალობა? ის გახლავსთ ქრისტიანი მეფე, უბედური მეფე, რომელიც მოიყვანს თვისს სასარგებლოდ მრავალთ სხვებს, რომელთა მისმა უქრისტიანესმა უდიდებულესობამ შეეწია და ეწევა მათის სხვა და სხვა განსაცდელში. ის გახლავსთ კიდევ მეფე, რომელსაც ჰსურს, თვისის ხალხის კეთილდღეობისთვის, წაბაძოს თქვენს საკვირველ გულმოდგინებას; ეს კი მას არ შეუძლია თქვენის უფარველობით.

„გარდა ამ წყალობისა, რომლის თხოვნას ვახტანგისთვის ვუბედავ საფრანგეთის უდიდესს ხელმწიფეს, მე უნდა მას წარუდგინო კიდევ სამეგრელოს კათოლიკოსის უმორჩილესი თხოვნა. ამ მღვდელ-მთავარმა, რომელსაც მე დიდის ხნიდამ ვიცნობ კეთილ კაცათ, ძლიერ შემეხვეწა,—როცა მე გავიარე მისს თემში,—რომ მე მეთხოვა ათი მისიონერი მისის უდიდებულესობისთვის, რომელიც ცნობილია მთელს აღმოსავლეთს ყოვლის მისისა მფარველათ და მომხმარეთ.

„კათოლიკოსის განზრახვაა შეურიგდეს წმიდა საყდომსა **) და ეცადოს იმ მისიონერების შემწეობით აფხაზების მორჯულება. თვისის სიტყვის წრფელობის დასამტკიცებლად მან მომცა ერთი სამღვდელო,—მისთვის ფრიად სანდო კაცი. ამ სამღვდელომ უნდა მიუყვანოს მას მი[სი]ონერები, რომელთა,—იგი იმედოვნობს,—თქვენი უდიდებულესობა გ[ა]უგზავნის მას“.... (აქ რაღაც გამოტოვებულია. შემდეგ ეგრე გრძელდება).

„ინებებს მოწყალებით გადაავლოს თვალი ამოდენ შეწუხებულთ თემებს, რომელთა შორის მას შეუძლია, ზოგიერთებს გააცნოს ჭეშმარიტი ღმერთი და სხვები ჰქმნას ეკლესიის მორჩილნი.

„ხოლო, უფრო ნამდვილი და,—შეიძლება ვსთქვათ,—ერთად ერთი საშუალება ამისთვის, ვახტანგის დაბრუნების მოხერხებაა მისს სამეფოში; და, რადგანაც იმას აკავებენ ისპაანში მხოლოდ სპარსეთის მაღალ წოდების კაცები, რომელნიც დიდს გავლენას იჩენენ საფიზე და რომელნიც აგონებენ მას, რომ მისი სარგებლობა ითხოვს ვახტანგის დაკავებასო,—საქმე ახლა მათი მოსყიდვაშია. ამისთვის საჩუქრების დარიგება საჭიროა, მაგრამ ამის ქმნა თვითონ მეფეს არ შეუძლია, ერთის მხრით იმიტომა რომ იგი ძლიერ ცოტახანი მეფობს და მეორეს მხრით ბევრი ხარჯიც მოუვიდა.

„ვიმედოვნობთ, რომ მისი უდიდებულესობა, აღძრული მარტო თვისის გულ-მოდგინებით და ღვთის მოყვარეობით, ინებებს ამ იეფის შეწევნას. უფრო ნამდვილი ღონისძიება ამ საქმეში გამარჯვებისთვის ის არის, რომ უდიდესმა ხელმწიფემ ინებოს ვახტანგთან ერთი სანდო კაცის გაგზავნა საჭირო საშუალებით, რომლითაც ვახტანგს შეეძლოს მოისყიდოს სპარსეთის თავადები. ამასთანავე მისმა უდიდებულესობამ წერილით უნდა ჰსთხოვოს საფის, რომ

---

*) ფრანცულით.

**) შესანიშნავია, რომ ამ წერილებში როცა ვახტანგს და სულხან ორბელიანს უნდათ მეფის ტიტლო გამოსთქვან, მაშინ იგინი ამბობენ „ქართველთა მეფეს“, და როდესაც კი საქმე ქვეყნის ინტერესებს შეეხება, მაშინ ორივე „საქართველოს“ ხმარობენ.

***) შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ გარემოებას არც ისტორია და ქართული ქარტიები მოიხსენებენ და არც დასაჯერებელია, რომ ვახტანგს აზრი ჰქონოდა საქართველოს აღსარების შეცვლისა. ან როგორ გაბედავდა ის იმისთანა აზრის წარმოთქმას, ვითომც ქართველები კათოლიკობას შეუერთდებიანო?

*) ამ სახელით დასავლეთელები უწოდებდნენ შაჰებს

**) ე. ი. რომის ეკკლესიის

პომპაზეის გაჩენას ზარბაზანის კრა მათ, რომელიც ქაკურტუმა, ადგილზე არის მუშემდეგ, მეცველებით. დასცან დ რთუ არა ზარბაზანი, მაზის წარმოარაულები, პოლიციის ზულხართდაიწყებენ ბუკის კვრასა, ზის შეიათავის ნაწილების ცეცრიცხვი ელ საზოგადოებას, შევერ და რომ ყოველ შემთხვევ მ არაათ იყვნენ. — ერთხელ სათათრაცემა ცეცხლს დასაწყისს ძლება მაშინ მხოლოდ იმ ნაზელთახლის მაქრობელი საზოგაში მოდის სადაც, გაჩნდა ცეცკალეს მეორეთ ზარბაზანი, მაგ ის განძლიერებას ნიშნავს, არ ჭირო ახლო-მახლო ნაწი ვხლ საზოგადოებების დახმარება. მც თუ დასცალეს, მაშინ მთეარ აქის ნაწილების საზოგადოედილდებულნი არიან მოეშვედ-ეს ყველაფერი აქ რომ მეააკობთ, იმაზე უმალ-ხთება.

ვით ვანბობ, რომ არცერთი აქა საზოგადოების წევრთაგანი სა არ არიან დაჭერილნი.—სათიან ყველა იმათგანი, თუ კი იმ ქას წევრათ ხთის თავის თავს, ნ იმას ვალი ადევს სინიდისის წინ, რომ თავის თანამოქალაქეს, მეზობელს ყოველგვარ გაჭირვებაში დაეხმაროს — ცეცხლის დროს იქნება ან წყლის მოსვლისას, თუ მტერის თავზე დაცემისას.

არა ამგვარი დამოკიდებულებით ხელმძღვანელობის პატრონს კაცს, რა ფული იქნება იმისანა, რომ გააკეთებინოს ის, რაც იმას არ უნდა, რაზედაც იმას გული არ მიუდის, რასიც ის ზნეობითად თავის მოვალეობათ არ ხთის? — უველა დამეთანხმება, რომ ის მოჯამაგირე, რომელიც თავის ნაშრომში თავისთვის წილს არ ხედავს, ამისანა მოჯამაგირე, ხშირათ მტრელია და მოზარალე პატრონისთვის. რატომ? იმიტომ, რომ იმას თავის პატრონთან მარტო ფული აერთებს, აკავშირებს და არა კაცთ მოყვარეობითი და ზნეობითი რამ მოვალეობა. ეს როგორც კერძო პირზე, ისე მთელს საზოგადოებაზედაც ითქმის.

არც დროება და არც გაზეთის ადგილი ნებას არ გვაძლევს, რომ უფრო დაწვრილებით მოველაპარაკოთ ამ საგანზე. — ბევრი თუ არა, ცოტათი მაინც გავაცანით მკითხველი იმას რაზედაც ვლაპარაკობდით და ამის, შემდეგ, თავათ მკითხველმა გასაჯოს, თუ რამდენათ შესაძლებელია, რომ ჩვენ ქალაქს ამ გვარ საფუძვლებზე დამყარებული ცეცხლის მაქრობელი საზოგადოება ეღირსოს, — იმ ქალაქს, რომელსაც დახლოვებით — 26,000 სახლზე, ქირით შედგენილი ცეცხლის კამანდაც მხოლოდ ერთი ჰყავს და ისიც არა შუა ადგილას.

## დღიური

### „დროების" რედაქციისაგამ

„დროების" № 41 ნომერში არის ნათქვამი: „როგორც გუბერნიის სასამართლომ გვაცნობა". გუბერნიის სასამართლოდამ ჩვენ ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია. ბოლოდ ამას ჩვენამდის მოაწია ამბავმა, რომ ვითომ ჩვენი შენიშვნა იერიდამ გამოგზავნილ კორრესპონდენციაზე და თვით კორრესპონდენცია უსაფუძვლო იყოს...

უმორჩილესად ვსთხოვთ, ვისაც შეეხება ეს საქმე, გვაცნობოს დალაგებით, კორრესპონდენციისა და ჩვენი შენიშვნის უსაფუძვლობა რომლის დიდი მსურველი ვართ, — და ჩვენ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ.

* * *

ახლად ამორჩეული ქუთაისის ბანკის მართველობა, მათი კანდიდატები და ზედამხედველი კამიტეტი შემდეგ პირებთაგან არიან შემდგარნი:

თავმჯდომარე: უ. ბეს. ღოღობერიძე

დირექტორები { თ. ნ. ტ. დადიანი; დ. გ. ერისთავი

ამათი კანდიდატ. { თ. ნეს. ერისთავი; დ. არ. ლორთქიფ.; დ. ბეჟ. ჩხეიძე

ზედამხედველი კამიტეტი:

უ. ლ. ასათიანი
— დ. დ. ბაქრაძე
— ლ. ღოღუა
თ. ან. ნ. ლორთქიფანიძე
უ. ი. პ. ჯაიანი *)
თ. პ. გ. ნაკაშიძე

ბანკის გამგეობის ხარჯად საზოგადო კრებამ დაამტკიცა: თავმჯდომარის ჯამაგირად: — 4000 მან.

დირექტორებს თითოს — 1800

შეიდ დამფასებელს, რომელნიც ჯერ კიდევ ამორჩეულნი არ არიან — თითოს 600 მ., ბანკის კანცელარიაზე და სხვა ხარჯისათვის — 9000 მან.

ეხლა, როდესაც ჩვენ წინ ბანკის მმართველობის სრული სია დევს,

*) მე 43 № „თფი მო მბე" წყლობით — ივ. ჯაიანის მაგიერ — ივ. დადიანი გადმოვბეჭდეთ.

---

...უბრძანოს საქართველოს გამგეებს, საქმის ასე მოხერხება, რომ ...ანციელებს, რომელნიც გაატარებენ იქ სპარსეთისთვის საქონლებს, შეეძლოს ვახტანგის უვნებელად ატარება.

25 მარტს 1714 წლისა

თავის წერილის და დავთარის შემდეგ საბა ორბელიანმა მიიღო პირველი აუდიენცია. მერმე რიშარმა წარადგინა მეორე დავთარი საბა ორბელიანის სახელით:

V ბატონო! *)

„უფლი სულხან საბა რო ჩამოვიდა საფრანგეთში, ხელმწიფის მფარველობის სათხოვრად, მას სრულებით არ ჰქონია განზრახვა შეეკრა რამე ტრაქტატი; ამიტომ არც რწმუნებითნი წერილები წამოუღია თავისის ნათესავის, მეფის ვახტანგისაგან; თუმცა საბა ორბელიანი დარწმუნებულია, რომ რასაც იგი იზამს თავის სახელით, იმას ვახტანგიც დაამტკიცებს, მაგრამ მას მაინც არ უნდა რამე შეჰკრას თავის სახელით.

აი მაინც მუხლები, რომელთა შესახებ ვახტანგის სრული იმედი ჰქონდესთ:

1. რომ ეს მეფე მიჰსცემს ერთს რიგიანს სახლს საფრანგეთის კონსულს თავის სატახტო ქალაქში, თფილისს.

2. რომ იგი არჩენს თავის ხარჯით კონსულს და მისის უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომებს, რომელნიც გაივლიან საქართველოში ანდა იქ დარჩებიან.

3. რომ იგი დაიცავს ყოვლის შიშისაგან საქონლებს, რომელთა ფრანციელები ჩაიტანენ საფრანგეთიდამ საქართველოში, სპარსეთში გასატანათ, ანდა სპარსეთიდამ საფრანგეთში წასაღებად.

4. რომ იგი მიატანინებს კიდევაც თავის ხარჯით ყველა საქონლებს სპარსეთიდამ შავ ზღვამდი და შავ ზღვიდამ სპარსეთის სამზღვრამდის.

5. რომ იგი უშოვნის მაღაზიებს, რამდენიც საჭირო იქმნება, როგორც შავი ზღვის სიახლოვეს, სამეგრელოში, ეგრეთვე მისს სამეფოში.

6. რომ იგი უპოვის ფრანციელ ვაჭრებს საშუალებას ჩერქეზებთან ვაჭრობისას, და ეგრეთვე ღონისძიებას, რომ მათ დაიწყონ მისის ქვეშევრდომებთან და მეგრელებთან სარგებლიანი ვაჭრობა აბრეშუმით, მატყლით, ცვილით და სხვა საქონლებით.

კიდევ მეტი, სულხან საბა გარწმუნებსთ, რომ, თუ რასმე ნახავთ ვაჭრობისთვის და საფრანგეთისთვის უფრო სასარგებლოს, ქართველების მეფე ხელს მოგიწყობსთ, რაც მისგან შესაძლო იქმნება.

ის ევედრება მხოლოდ უფ. პონშარტრენს, რო ახლა მან ინებოს — ვახტანგს მიწეროს ხელმწიფის მხრით და აცნობინოს მას, რომ მისს უდიდებულესობას ჰსურს შეეწიოს მას, რამდენათაც შეეძლება, რომ ამისთვის ის აგზავნის უფ. სულხან საბას რომში, პაპის წინაშე, რათა ნახოს იმასთან რის გაკეთებაა საჭირო; რადგანაც სულხან საბამ გამოჰსთქვა, რომ მისს საქმეში დიდი ადგილი უჭირავს სარწმუნოების გავრცელებასო.

უფ. პონშარტრენის წერილი შეიძლება მიეცეს ერთს ფრანციელ მისიონერს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს სპარსეთში.

ამასთანავე სულხან საბა ჰსთხოვს მინისტრს დასაქმოს მისიონერი უფ. რიშარი, რომელსაც ენდობიან ვახტანგ და სულხან საბაც, ამ მეფესთან ტრაქტატის შეკვრა. ამისთვის მას უნდა მიეცეს საჭირო უფლებანი, რათა პაპასთან რჩევის შემდეგ, მას შეეძლოს, მისის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, დაუყოვნებლივ სპარსეთში წასვლა, ქართველების მეფის წინაშე.

უფ რიშარი დაბრუნებისათანავე წასულიყო თავის მამულში შინაურულ საქმეების დასაწყობლად; სულხან საბა კი უცდის მხოლოდ უფ. პონშარტრენის პასუხს, და როცა მოუვა იმისთანა პასუხი, როგორსაც იგი ელის, იმ წამსვე გაემგზავრება რომისკენ. მხოლოდ მას ჰსთხოვს, რომ მიჰწეროს უფ. დ'არნუს, რომ ამან არ მოაკლოს ის პატივისცემა, რაც უწინ გამოუჩინა—და უპოვოს საშუალება მშვიდობიანად იტალიაში ჩასასვლელად.

ამასთანავე იმედი აქვს, რომ მისი უდიდებულესობაც მიიწერება მისდა სასარგებლოდ."

ჟ რიშარ

1714, მაისს

ამ წერილის შემდეგ სულხან ორბელიანმა მიიღო მაისში 1714 წ. მეორე აუდიენცია, რომელშიაც მან უთხრა ლუდოვიკოს ეს შესხმა:

VI დიდო ხელმწიფეო! *)

„ვაქვს პატივი წარმოვუდგინოთ თქვენს უდიდებულესობას ბრევე, რომლის გამოგზავნა ვახტანგისათვის ინება ჩვენმა წმ. მამამ პაპამ.

სწორედ ამით მისმა უწმინდესობამ მოგვანიჭა ძვირფასი შემთხვევა თქვენი უდიდებულესობის ფერხთ წინაშე ხელმეორედ მოსასვლელად. თქვენც ამის ნება მოგვეცით. მარტო ეს მოწყალება საკმაო იქნება, რომ ყოველთვის დიდის სიამოვნებით გავიხსენოთ ეს მგზავრობა, — რომელიც ჩვენ შევასრულეთ, — იმ შემთხვევაშიც, რომ ღმერთმა ინებოს მისი სრული ნაყოფიერობა.

რა ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ ვნახეთ ჩვენის თვალებით ის, რისიც ტრფიალება სხვებს მხოლოდ შორიდამ შეუძლიათ! სასიამოვნოა თქვენის უდიდებულესობის სამრთო პირის ნახვა, რომელზედაც ჰსჩანს არა თუ სოლომონის სიბრძნე და სიმშვენიერე, არამედ დავითის სარწმუნოებაც და ღვთის-მოყვარეობაც.

განსაკუთრებით ამ ღვთის-მოყვარეობით, დიდო ხელმწიფეო, თქვენი უდიდებულესობა გაჰხდება, იმისთანა მოშორებულ ქვეყნაშიც, — როგორც ჩვენი, მეფეების ნუგეში და სარწმუნოების მფარველი."

სულხან ორბელიანი წავიდა ამის შემდეგ რომში და იქიდგან მოიწერა ეს წერილი:

VII. „ქ: დიდისა და მაღლის მეფის საყვარელო, და გულითადო მისანდობელო, და ხაშიადის შემნახო, უფროსო ვეზირო, ბატონო მუსიუ პონშანტრან, სულხან საბა ორბელიანი, გიხაროდენ.

ღვთის მადლითა და მაღლის მეფის ბედნიერებითა, მეფის კატარღით, ცხრას იილისს, მშვიდობით რომს მოვედით; თქვენი პატიოსანი წიგნები კარდნელს მისინორ ლატრიგულის, და კარდნელს მისინორ საკრიპონტის მივართვით.

რომელიც თქვენი ვედრება ეწერა, ნამეტნავად გაისჯენ და სიკეთე მოიჭირვეს, და კარგა დაგვხდენ; ერთს კარგს ადგილს კელ-შეწყობით დაგვაყენეს.

*) ფრანცულით.

*) ფრანცულით.

შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ ამორჩევებით თითქმის ყველა არსებული პასუხები დაკმაყოფილებულნი უნდა იყვნენ.

*
* *

თუმცა ხუთშაბათს გაჩნდა ცეცხლი მირზოევის შენობაში, — მიხაილოვის ხიდზე, მაგრამ კვირა საღამოს ამ გადამწვარ მაღაზიების სარდაფებში აქა იქ კიდევ არ გამქრალა და ბოლი ამოსდიოდა. — რას უნდა მიაწეროთ ეს გარემოება?

*
* *

შაბათს საღამოს — შვიდ საათზე, თფილისის მცხოვრებლები, როგორც იქნა, ეღირსნენ გაგრილებას. დიდის ხნის ელვა-ჭექის შემდეგ, თითქმის სამი საათის განმავალობაში წვიმდა. სხვა არა იყოს რა, ამ წვიმამ სულის შემხუთველი ქუჩების მტვერისაგან მაინც გვიპატია....

*
* *

ქიზიყიდამ გვწერენ, რომ მთელი აპრილის თვის განმავლობაში ნაალდგომევს იქ წვიმა არ უნახავთ. დედამიწამ სრულებით ნამყოფი ვერ გამოიღო, და რაც მიწას ამოსცილდა, ისიც ამ პაპანაქებაში სრულებით გახმაო. ხალხი ერთობ დაფიქრებულია თავის მომავალზედაო; — მუდამ ქიზიყის შეჩვეული ჭირი — შიმშილობა, უდგას თვალის წინაო.

*
* *

ჩვენ გვწერენ, რომ ოზურგეთიდამ სამს ვერსზე, ერთს პატარა სოფელში, 23 აპრილს დღე გიორგობას, თეობის დროს, იქ მცხოვრებლებსა და სტუმრათ მომსვლელებს — შუა, საშინელი ხელ ჩარეული ჩხუბი ყოფილა. — კორრესპონდენტის სიტყვებით — 15 კაცი და ერთიც დედაკაცი დაუჭრიათ — ამ დაჭრილებში ერთი ესადნიკი ძ. მომკვდარა კიდეც და დანარჩენნი ექვსი ძიელ მძიმეთ დაჭრილი არიანო. — ამ საქმის თაობაზე გამოძიება დაიწყო, იმავე კორრესპონდენტის სიტყვით.

## „დროების“ კორრესპონდენცია

საჩხერიდამ, 29 აპრილს

### ბატონო რედაქტორო!

—

იმედი გვაქვს თქვენი პატივცემული გაზეთი „დროება“ მისცემს ადგილს შემდეგ ჩვენ განცხადებას:

ჩვენ გახლავართ დროებითი ვალდებულნი გლეხნი თავადთ წერეთლების. ჩვენ ვემსახურებოდით დღემდის ეკკლესიის ჯრუჭის მონასტრს ვიდრე 400 კომლამდე. სუდმა ჩამოართვა ჩვენი თავი ეკკლესიას და მიგვცა წერეთლებს.

ჩვენ მოველოდით, რომ, — როგორც სხვანი საეკკლესიო ყმანი, — სახაზინოთ დავრჩებოდით და აბა თავისუფლება ვის არ უყვარს.

ამის მიზეზით ზოგნი ჩვენთაგანი ძრიელ დაფიქრდენ, მაგრამ არ იცოდენ, თუ რა ექნათ! ამ დროს გაჩნდა ერთი ადვოკატთაგანი, რომელიც მოხსენებული არის შარშანდელ „დროების“ ნომერში, — სადაც იყო დაბეჭდილი ბეჭდის მოპარვის თაობაზე მამასახლისის ჯიბიდამ და ყალბი ასი თუმნის თამასუქების შედგენაზე; დასადაც ჩვენს ახლანდელ ადვოკატს იხსენიებს: „მაცდურ-ადვოკატათ“.

ეს მაცდური ადვოკატი ჯ. როგორღაც გაგვიჩნდა ჩვენ და დაგვიწყო თათბირი: „თუმც მომცემთ სამასს თუმანს, სახაზინოთ შეირიცხებითო. სამი სოფელი: ქორეთი, მოხვა და ბ ჯითი შეიყარენ ამ საქმეზედ და ამოარჩიეს რვა კაცი ამ საქმის თავად და მისცეს ადვოკატს ვექსილი სამასი თუმნის — დამტკიცებული ნოტარიუსში ამ ამორჩეული რვა კაცის სახელზედ.

თავის მხრით ჯ. მოგვცა შინაური პირობის წერილი სადაც შვიდი აზნაურთაგანი ხელს აწერდა და მოწამეც იყო მისი, რომელ, — „უკეთუ თქვენ სახაზინოთ ვერ განთავისუფლდეთო, მაშინ ის სამასი თუმნის ვექსილი გაბათილდესო.“

ჩვენმა ამორჩეულმა კაცებმა ეს პირობის წერილი ჩამოართვეს და შეინახეს.

უ. ადვოკატმა, — რომელმაც რუსული საყველ-პუროთ იცის მხოლოდ, — მოხერხებაში გენიოსი არის. ეს ვექსილი წარადგინა საჩხერის მომრიგებელ სასამართლოში და მიანდო მეორე ადვოკატს უ. მ. ის პირობით: თუმც გადაახდევინებს ჩვენ ამორჩეულ კაცებს სამას თუმანს, მაშინ ფულები შუაზე უნდა გაიწკაპუნონ. როდესაც სასამართლომ პასუხი მოსთხოვა ჩვენ ვექილებს, მაშინ იმათ გაუჩნდათ მეორე ადვოკატი სასამართლოში დიდი ალიან ჩალიანი, ე. და გამოართვა ჩვენ

---

რადგან მტკიცე ქრისტიანის მეფის გამოგზავნილი ვიყავით წმინდა პაპამ მამა შვილურის თვალით და გულით შეგვიტკბო. მუსუ რიშარს რაც დაბარა თავის შვილს მეფესთან ჩვენის საქმისა — ეს მოახსენებს. მუსუ რიშარიც მეფისა და წმიდის პაპის ბძანებით მანდეთ წამოვიდა.

„ჩვენც ამისი მოიმედნე ვართ, — როგორათაც თქვენის მართლის პირისაგან — ჩვენის საქმის გარიგების პირობა გვიბძანოთ, ისინი ისე გაგვითაოთ. ჩვენც დღე და ღამე თქვენი მლოცავი ვართ, და თქვენის შვილისა, რომ ღმერთმან დიდი დღე მოგცეთ.

ქმ ივლისს დაიწერა

სულხან საბა“.

რომიდამ საბა ორბელიანი გაემგზავრა ფლორენციაში, ლივურნში და შემდეგ სიცილიაში. ამ უკანასკნელ მხრიდგან მან მოიწერა საფრანგეთში ეს წერილი:

VIII. დიდად ბრძენო და პატიოსანო, უფროსო ვეზირო ფრანცისის მეფისაო, მუსუ პონშანტრონ.

ქ: ვიცი, რომ დავაკელი, თქვენ რომ მიბძანეთ, „სადაც მიხვიდე, შენი ამბავი მომწერეო.“ რომიდამ მოგწერე, რომელიც წმიდამ პაპამ ჩვენზედ წყალობა ქნა. რომელიც დიდმა მეფემ მიწერა ჩვენის გულისათვის — კიდევ ნამეტნავი წყალობა გვიყო.

რომიდამ წამოსვლის უკან, წმინდის პაპის ხარჯით ის ქვეყნები გამოვიარეთ, და ფლორენციას მოვედით. რა კრანდუკამ ჩვენი პატივი დიდის მეფისაგან და წმიდა რომის პაპისაგან შეიტყო, მაშინვე კარგად დაგვაყენა, კაი პატივითა, კარგა დაგვხედა, იქ ყოფაშიაც და გზაზე მის მამულშიაც სულობით მისი ხარჯი იყო, კაის ხელის-შეწყობით მოგვეპყრა.

ალიკორნას*) თქვენი კუნძულო**) დემალიაი (3) დაგვხვდა; იმან მოინდომა, რომ სახლში დამდგარიყავით; მაგრამ კრანდუკასაგან ბძანება იყო, რომ ჩვენ მონასტერში დამდგარიყავით, და ამისთვის ვერ დავდექით. კუნძულო მალ-მალ მოვიდის, გვიალერსის. და აჯამის ქვეყნის ამბები ჩამოვარდა; ასე იცოდა სპარსეთის საქმე, მე იქ გაზდილი მეგონა; დიახ მიამა მისი ისეთი ცოდნა — იმ ქვეყანას კაი გასაგზავნია პირველად ეს კუნძულო, და იმ ქვეყნის საკადრისი.

მე მაგას არ მოგახსენებ, რომ თქვენს დიდს ჭკუას დავეცილო საქმესა; მაგრამ მე, რაც მოხსენება მმართებს, მოგახსენებ, რომ ფრანცისები ჩემთვის დიდად საყვარელნი არიან.

ალიკორნიდამ წამოსული პალერმოს მოვედით. იქ თქვენი კუნძულო მრავალს გაისაჯა; სხვა არავინ გვინახავს. იქიდამ მისინას მოვედით, აქაური კუნძულო თუ არ დაგვხვდომოდა, არ ვიცი სად უნდა დამდგარიყავით. იმან თვითონ წამიყვანა, წმიდის ბასილის ჩვენს მონასტერში დამაყენა; ყოველ დღეს თავის ეტლს გამოგზავნიდის; სანახავებსა და მონასტერს გვიჩვენებდის. ყოველ დღე მოვიდის, გვნახის, გვიალერსის. ეს ბატონები ყველა, თქვენის გულისათვის, კარგა გვეპყრობოდენ; ამისთვის მოგწერ, რომ იმათ წყალობა უყოთ.

*) Livourne.
**) კონსული.
***) Demaillet.

გეხვეწებით, რომ მოციქულები მალე გამომიგზავნოთ, რომ კონსტანტინოპოლეს მოვიყვანო, ამ ზამთარ აქ მოვასვენო. ვიცი ჩვენის საქმისათვის დიდად მოპჭირნე ბძანდებით, და ამას მოველი უფროს თავს-გამოიდვოთ, რომ ჩემი მეფე და ჩვენი ქვეყანა შენი მოვალე შეიქნენ. და მე ნიადაგ შენი მლოცველი ვიყო.

„დაიწერა ოკდომბერს: 26: სულხან საბა ორბელიანი მოგახსენებ.“

სიცილიდამ საბა წავიდა კონსტანტინოპოლში, საიდგანაც მან მოიწერა საფრანგეთში შემდეგი წერილი:

IX მუსუ ფონშანტრან!

ქ: მ ღლის მეფის გულითადო ვეზირო და საყვარელო მისანდობელო.

მერმე ღვთის მადლითა, და თქვენის ბძანების შეწევნითა, ით: იანვარს, კონსტანტინოპოლეს მშვიდობით მოვედით მალთოდამე. ბატონმა ელჩმა ერთს სახლში დაგვაყენა პატივით, ხელის-შეწყობით; როგორც უწინ როდი ვიყავით, ისრე ახლა გაგვირიგა.

აქ ვახტანგ მეფისა და ჩემის ძმების წიგნები დამხვდა მონაწერი. ვახტანგს ივნისის თვეში მოეწერა, და აჯამი, ქრისტეს სარწმუნოებისათვის დიდ შეუწუხებიათ; მაგრამ მიხარიან, რომ მაგრა დგას, და, რამდენიც შეაწუხონ, უფრო გამაგრდება.

ჩემ-თან ეს მოეწერა „ჩემი იმედი, ღვთის გარდა, არა არის რაო, და შენ იცი ჩემს საქმეზე რასაც გაირჯებიო, და დიდის მეფის შეწევნისა და შველის მაყურებელი ვარო.“

თქვენ ხომ მრავალს გაისაჯინით, მაგრამ ამას გეხვეწებით კიდევ უფრო გაისაჯოთ, რაც დიდმა მეფემ თავის უტყუარის პირით წყალობა მიბძანა, მისა მომლოდნე ვარ.

თქვენ მიბძანეთ „წადი, კონსტანტინოპოლეს დაჯდეო; ჩვენც ელჩს მივსწეროთო, რომ იქ რაც ვახტანგს ერგებოდეს ის ქნასო,“ და აქ ამა ელჩს ბძანება არა მოსულია რა.

ჩემს ძმებს ხვეწნა მოუწერია ჩემის მისვლისა; ჩემი ქვეყანა აშლილა, და ყველას უნდა მალე მივიდე; მაგრამ თუ მეფის წყალობა და ან ეგ მოციქულები არ მოვლენ, — მე ვერ წაველ. ჩემი საქმე და ჩემის ქვეყნისა გამიშვია, და უწინ უნდა მაგ მოციქულების საქმე ვინაღლო, მერმე ჩემს თემს წავიდე.

ჩემის ქვეყნის აშლას, თქვენ ნურას დაიხედავთ; მაგ მოციქულების საქმეს არას დაუშარცხებს. თუ ამ თათრებსა და შავს ზღვას მოვრჩით, იქით-ღვთით-მოციქულების საქმე არ დაშავდება რა. ჩემი აქ ყოფა გრძლად არ ვარგა, მისთვის რომ, ვინ იცის, თუ ჩემი რამ ითქვა, და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება.

ჩემი საქმე და ჩემის ქვეყნის ყველა თქვენს საფარველს ქვეშ შემომიგდია, და შენ იცი.

ერთს ამას გეხვეწები. მალთიდამ რომ ხომალდმა წამოგვიყვანა თქვენის ბძანებითა, ან ეს ელჩი რასაც ჩვენ-ზე ირჯება, მე მმართებს, რომ ამის-თვის ღვთის წინაშე ვილოცო; სხვა არა შემიძლია რა; ეგება თქვენს წყალობის გარეთ არ დარჩნენ.

„თქვენი მოსამსახურე სულხან საბა.“

18 ფებ. 1715 წ.

ა. ჰ.

პარიჟი 4 მაისი 1876 წ.

ვექილეშს რვა თუმანი და ბათილობის წერილი წარადგინა მომრიგებელ სასამართლოში, რომელიც დაიკარგა სასამართლოში. ვილაც ღვთის მტერმა საქმეში ჩაკერებული მოიპარა სასასართლოში!!

როდესაც ჩვენ დავიწყეს ფულების თხოვნა იმ ვექსილის ძალით, ჩვენ ვიხმარეთ საბუთად ბათილობის წერილი.

ბათილობის წერილი ველარ ნახეს საქმეში წაკერებული.

ვექილმა მ. გამოგვიცხადა, რომ „მე შევიტანე სასამართლოში თქვენი ბათილობის წერილი და ვილაცას მოუპარავსო“. რასაკვირველია ეხვი შევიტანეთ მომჩივანზე.

მომჩივანმა ჯ. წარადგინა ერთი რაღაც შედგენილი ქაღალდი და ამტკიცებს, რომ ვითომ ის ქაღალდი იყოს პირი ბათილობის ქაღალდის და რადგანაც ის ქაღალდი არ არღვევდა ჩემს ვექსილსო, ამისათვის თვითონ გლეხ-კაცებმა მოიპარესო და ჩვენ გვახთევინებენ სამას თუმანს! სასამართლოში შეტანილ ქაღალდს რა ნაირათ მოეიპარავდით?! და თუ მოპარვა გვდომოდა ვინ, გვაყენებდა ძალას შეტანისას სასამართლოში? ნუ თუ უნდა დავიღუპოთ,—გადაგვხდეს სამასი თუმანი? ვერ დავიჯერებთ, რომ ღმერთი ჩვენთვის მრისხანე იქმნეს? ჩვენ არ დავკარგავთ სასოებას, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაკრავს ფეხს და ჯ. და წამწარდება ამდენი ცოდვა. მაგრამ ჩვენ რა? ერთი ქართლელი გლეხის თქმის არ იყოს! „მამიჩემის მკვლელი კი წაწყმდება კი ვიციო, მაგრამ მე რაო— მამაჩემს ვინ გააცოცხლებსო?

მოხველი

# განცხადებანი

## I.

**თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარე** —წესდების § 83 ძალით—აცხადებს, რომ საზოგადო კრება ბანკის დამაარსებლებისა დაიწყება 17 მაისს. სხდომანიმოხდებიან თვითვე ბანკში.

კრებათ საგნები

1) წარსულ დროების ანგარიში ზედამხედველი კომიტეტისა

2) მომავალი სამის წლის გასავალის განხილვა.

3) ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება ზოგიერთ ეხლანდელ კითხვებზე.

4) შეცვლა და დამატება ზოგიერთ წესდების პარაგრაფთა.

5) ზედამხედველი კომიტეტის წევრების აღრჩევა და ბანკის მმართველობისა.

## II.

**თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომმიტეტის თავ-მჯდომარე** აცხადებს, რომ კომიტეტმა 20 აპრილის სხდომაზე, საზოგადო კრების მინდობილობით, გარდაწყვიტა, რომ ბანკის დამაარსებელთ,—რომელთაც არ ექნებათ ღონის ძიება მოსვლისა მომავალს საზოგადო კრებაში,—შეუძლიანთ სხვათ გადასცენ თავისი კენჭი, შემდეგის წესით.

1) მარწმუნებელი უნდა იყოს ბანკის დამაარსებელთაგანი

2) არავის არა აქვს უფლება იქონიოს რწმუნებით ერთის ხმის მეტი და 3) ვექილობა უნდა იყოს დამტკიცებული ნოტარიუსის წესით და წარდგენილი ბანკის მმართველობაში არა უგვიანეს 14 მაისისა. (2—3)

**LA VELOUTINE**

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი.

—

**pommade satin**

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—29

**კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით**

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე—დილის 8 საათიდამ $9\frac{1}{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9\frac{1}{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის მუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

**იმპერატორის**  **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.




გამომგონი პასუხს აგებს.

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**



**პრეის-კურანტი:**

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



**უმთავრესი დეპოარის თფილისში,** დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—16

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

**ბირჟა**

| პეტერბურგი, 29 აპრილს | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | -- |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

**მაზანდა**

| თფილისი, 4 მაისს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | — | 90 |
| ქერი ფუთი | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 63 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 72 |
| სპირტი, ვედრო | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი | 6 | 15 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Мая 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.